PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამთა კვინიკაძე

წევრები: თეა მაისურაძე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: [redacted]

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 19/06/2020 N493196 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 30 ივნისს, სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში განხორციელდა ვიზიტი დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ვიზიტის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი „კულინარიის ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ზ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. დაწესებულება აღნიშნული პროგრამის განხორციელებას აპირებს დუალური მიდგომით.

ვიზიტის დაწყებამდე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალა და შეიმუშავა დღის წესრიგი.

სამუშაო ვიზიტის დაწყებამდე , კოლეჯის ადმინისტრაციასთან გაცნობისა და გასაუბრების დროს, განხილულ იქნა მომზადებული დღის წესრიგი, რომლის შეცვლის აუცილებლობა არ დამდგარა.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციასთან, გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან, საგანმანთლებლო პროგრამის შეფასებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემაზე პასუხისმგებელ პირ(ებ)თან გასაუბრება, გასაუბრება საგანმანათლებლო პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, დაწესებულების ბიბლიოთეკის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება გასაუბრება პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან: შპს ჯი ელ გრუპთან (რესტორანი გალავანი) , რესტორან ლორდთან, შპს ბულაჩაური 2017 თან, რესტორან „გერმანული პაბი“თან. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შეჯამება/შეჯერება ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის/ძირითადი მიგნებების გაცნობა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის.
ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ატმოსფეროში.

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

კოლეჯში დანერგილია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება 5 დუალური პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა:

- რძის პროდუქტების წარმოება (წინამძღვრიანთკარი, თიანეთი)
- მეხილეობა (თიანეთი)
- სასტუმრო მომსახურება (სტეფანწმინდა)
- მევენახეობა-მეღვინეობა (წინამძღვრიანთკარი)
- მებაღეობა (წინამძღვრიანთკარი)

აღნიშნული პროგრამებიდან კოლეჯს უკვე ჰყავს 7 კურსდამთავრებული, რომელთა უმრავლესობა დასაქმებულია პარტნიორ საწარმოებში.
კოლეჯს ჰყავს საერთაშორისო პარტნიორები ჩეხეთსა და საფრანგეთში. თანამშრომლობა ხორციელდება სატყეო საქმის, ტრაქტოისტ-მემანქანის, მეფუტკრეობის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით.





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, კოლეჯის ადმინისტრაციის 4 წარმომადგენელი, 2 პროფესიული მასწავლებელი და 7 სტუდენტი სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტით იმყოფებოდნენ აღნიშნულ ქვეყნებში.

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

1. რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს იმ მოდულების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგების განმეორებითი შეფასების საორგანიზაციო საკითხები, რომლებიც წარმოადგენენ სხვა მოდულებზე დაშვების წინაპირობას _ შესრულებულია
2. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში არ იყოს სარეკომენდაციო ხასიათის ჩანაწერები, პროფესიული განათლების მასწავლებელმა დაგეგმოს მოდულის განხორციელებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მიდგომები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელების დროს, საჭიროების შემთხვევაში პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს უფლება შეცვალოს მიდგომები და შეარჩიოს სწავლის შედეგების მიღწევისათვის ოპტიმალური გზები, დაგეგმვის აღნიშნული პრაქტიკა ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის ამაღლებას და ხარისხის ციკლის - „დაგეგმე-განახორციელე- შეაფასე-განავითარე“ უზრუნველყოფას - შესრულებულია
3. რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულური მიდგომით სწავლების მიზნებისათვის პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავდეს ინფორმაციას: საწარმოში განსახორციელებელი მოდულების/სწავლის შედეგების შესახებ, საწარმოში პროფესიულ სტუდენტთა დაშვების პირობებს _ შესრულებულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ჯავახიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

4. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დუალური სწავლების მიდგომით განხორციელებაში ჩართული ინსტრუქტორების კვალიფიკაცია/სამუშაო გამოცდილების შესაბამისობა/დადასტურება კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილ მოთხოვნებთან - შესრულებულია
5. რეკომენდებულია დაწესებულების მიერ დამტკიცებულ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მიეთითოს მათი განხორციელების ადგილი - გათვალისწინებულია
6. რეკომენდებულია დაწესებულებამ აწარმოოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების უწყისების რეგისტრაცია- შესრულებულია

## VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*არ გამოვლენილა*

## VII. რეკომენდაციების შეჯამება

**შესაბამისობის რეკომენდაციები:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

**კომპონენტი 2.2.1.**

პუნქტი 2. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის ფორმა;

**კომპონენტი 2.4.2.**

პუნქტი 1. რეკომენდებულია რომ შეფასების ორგანიზების წესში გაწერილი იყოს შეფასების შედეგების გამოქვეყნების/პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები.

## განვითარების რეკომენდაციები:

**კომპონენტი 2.1.1**

პუნქტი. 1. რეკომენდებულია სამოქმედო გეგმებს დაეწეროს ის წელი, რომლის შესაბამისი მიზნები და ამოცანებიცაა გაწერილი;

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

*ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე*





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | კულინარიის ხელოვნება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია კულინარიის ხელოვნებაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1013 |
| პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები | კოლეჯის დირექტორის N 04-88 ბრძანება (11.06.2020) |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები) | • მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი<br>• შპს ჯი ელ გრუპი (რესტორანი გალავანი) მის: ნატახტარი 1 კმ<br>• რესტორანი ლორდი მის:  გრ.კვინიტაძის #1<br>• შპს ბულაჩაური 2017 მის: დუშეთის რაიონი სოფელი წითელსოფელი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

| | |
|---|---|
| PDF Eraser Free | • რესტორანი „გერმანული პაბი“ მის: ვაჟა-ფშაველას გამზ N59 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | დუალური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით | მცხეთის რაიონის სოფ. წინამძღვრიანთკარი<br>შპს ჯი ელ გრუპი (რესტორანი გალავანი) მის: ნატახტარი 1 კმ<br>რესტორანი ლორდი მის:  გრ.კვინიტაძის #1<br>შპს ბულაჩაური 2017 მის: დუშეთის რაიონი სოფელი წითელსოფელი,<br>რესტორანი „გერმანული პაბი“ მის: ვაჟა-ფშაველას გამზ N59<br>- დუალური წავლება 15  სტუდენტი |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 80 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 95 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

## VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:





ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კულინარიის ხელოვნება'' განხორციელების შესახებ ეფუძნება კოლეჯის მისიას.

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა ,,მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის. რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეჯი ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მომსახურების სფეროზე, რითაც ხელს უწყობს რეგიონის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებას.

კოლეჯი:

- ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

- ზრუნავს კადრების მუდმივ განვითარებაზე
- ამყარებს კავშირებს კერძო სექტორთან და უცხოელ პარტნიორებთან
- ხელს უწყობს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვას
- ხელს უწყობს დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობასა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლას პროფესიული გადამზადების და კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების შეთავაზებით
- ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და თვითდასაქმებაში კონსულტირების გზით
- აქტიურად თანამშრომლობს კერძო სექტორთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საერთო მიზნების (კვალიფიციური კადრების მომზადება და ეკონომიკის განვითარება) მისაღწევად.''

პროგრამის განხორციელების დასაბუთებისას კოლეჯმა გაითვალისწინა შემდეგი გარემოება :

- რეგიონის მოთხოვნის პრიორიტეტი;
- შრომის ბაზრის ანალიზი;

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშავა ერთი პროფესიული პროგრამა კულინარიის ხელოვნება“ დუალური მიდგომით.

კოლეჯი ამჟამად სარგებლობს სტრატეგიული გეგმით 2016-2021 თუმცა უნდა აღინიშნოს , რომ კოლეჯი მუშაობს ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებაზე . შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილია შესაბამისი აღწერა ,, სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისია დამუშავების პროცესშია, ( ამჟამად არის სამუშაო ვერსია ) ;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

ასევე კოლეჯმა წარმოადგინა სამოქმედო გეგმა , რომელსაც აწერია 2019 წელი , თუმცა კოლეჯის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული გეგმა არის 2020 წლის და მხოლოდ იმიტომ რომ შემუშავებულია 2019 წლის ბოლოს ამიტომ აწერია 2019 წელი. **რეკომენდებულია, გეგმებს დაეწეროს ის წელი, რომლის** შესაბამისი მიზნები და ამოცანებიცაა გაწერილი.

2. ,,კულინარიის ხელოვნების'' პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა საბაზო განათლებაა. პროგრამის განხორციელების ვადა კი 24 თვეა. რადგან კულინარიის ხელოვნების პროგრამა დუალურია პროგრამაზე სტუდენტის მიღებას არეგულირებს სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მიერ შემუშავებული აპლიკანტთა კონკურსის წესით შერჩევის დებულება. დებულების თანახმად, აპლიკანტი, რომელმაც რეგისტრაცია გაიარა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, წერს წერით დავალებას და აქვს გასაუბრება კომისიასთან. კომისია შედგება კოლეჯის წარმომადგენლებისა და პარტნიორი კომპანიების წარმომადგენლებისგან. აღნიშნულ დებულებას საფუძვლად უდევს საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის N 152/ნ ბრძანება.

3. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის საფუძველზე შეიმუშავა „კულინარიის ხელოვნება'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი რაოდენობის დასაბუთება, რომელიც ითვალისწინებს პროგრამაზე ჩასარიცხი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დადგენისას როგორც A სასწავლო გარემოს, ასევე B და C (საჭიროების შემთხვევაში) სასწავლო გარემოების არსებობას და მათი ინფრასტრუქტურის რაოდენობრივ მაჩვენებლებს, ასევე ადგილების რაოდენობას პარტნიორ დაწესებულებებში.

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად საჭირო სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი განსაზღვრულია პროგრამის დანართით. (პროგრამის დანართი N4. - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი). დაწესებულების მფლობელობაშია კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის მრავალფეროვან ლიტერატურა კულინარიის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

ხელოვნების მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის დანართ N 4 ში არის მხოლოდ იმ მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია იმ მოდულების სწავლის შედეგების მიღწევისთვის, რომლებიც გატანილია პარტნიორი პრაქტიკის ობიექტებზე. გამორჩენილია A, B სასწავლო გარემოს და ასევე მოდულების : „პირველადი სამედიცინო დახმარება“ და „ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლების“ აღჭურვილობა. თუმცა ადგილზე დათვალიერებით და ფლობის დოკუმენტაციით დასტურდება მათი ფლობა დაწესებულების მიერ. **რეკომენდებულია დაწესებულებამ ცვლილება შეიტანოს პროგრამის დანართ N 4 ში და სრულყოს პროგრამის განსახორციელებელი მატერიალური რესურსი. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის N04-110 14.07.2020 ბრძანების საფუძველზე შესული ცვლილება კულინარიის ხელოვნების პროგრამაში , რომელშიც დანართ N 4 დამატებული აქვს A, B სასწავლო გარემოს და ასევე მოდულების : „პირველადი სამედიცინო დახმარება“ და „ტურიზმისა და სტუმართმასპინძლობის საფუძვლების“ განსახორციელებლად საჭირო მატერიალური რესურსები.**

5. კულინარიის ხელოვნების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებს არჩევით მოდულებს.

6. საგანმანათლებლო პროგრამა ,,კულინარიის ხელოვნება“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. იგივე პირი - კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ცვლილებები შეიტანოს პროგრამაში ან გააუქმოს ის. შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და დამატების წესში გაწერილია შემდეგი პუნქტები:

- პროგრამის შემუშავების პროცედურა;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და განვითარება;
- პროგრამის გაუქმება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

7. პროგრამის სახელწოდება არ შეცვლილა: პროგრამის სახელწოდება „კულინარიის ხელოვნება“ სრულად შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარსს, ასევე პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არაა შეცდომაში შემყვანი. კერძოდ, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული კვალიფიციური კულინარის მომზადებასთან. პროგრამის სწავლის შედეგებია: 1. განახორციელოს საკვები პროდუქტებისა და ნედლეულის პირველადი და მექანიკური დამუშავება; 2. განახორციელოს ნედლეულისა და პროდუქტის თერმული დამუშავება; 3. მოამზადოს მარტივი კერძები; 4. მოამზადოს ქართული სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები; 5. მოამზადოს საერთაშორისო სამზარეულოს გავრცელებული ძირითადი კერძები და გარნირები; 6. განსაზღვროს კერძის მოსამზადებლად საჭირო ნედლეულის რაოდენობა; 7. განახორციელოს პროდუქტისა და დამხმარე მასალების შეკვეთა და მიღება-განთავსება; 8. აღრიცხოს ვადაგასული და გაფუჭებული პროდუქტი.

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ პროგრამის შემუშავების საფუძველია: ჩარჩო დოკუმენტი-სასტუმრო, რესტორანი და კვება / Hotel, Restaurants and Catering- სარეგისტრაციო ნომერი: 10117-პ ; პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი დოკუმენტაციაა: მოდულები და სასწავლო გეგმა ( გაყოფილია საწარმოო ობიექტზე და კოლეჯში მისაღწევი სწავლის შედეგები), ადამიანური რესურსი, C გარემოს მოდელი–აღჭურვილობა.

**დამტკიცებულ პროგრამაში ,, კულინარიის ხელოვნება'' მოდული უცხოური ენა კრედიტების რაოდენობაში არის ტექნიკური შეცდომა და წერია 5 კრედიტი ნაცვლად 4 ისა. რეკომენდირებულია გასწორდეს აღნიშნული მოდულის კრედიტების რაოდენობა. დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის N04-110 14.07.2020 ბრძანების საფუძველზე შესული ცვლილება კულინარიის ხელოვნების პროგრამაში , რომელშიც გასწორებულია კრედიტების რაოდენობა.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

თ. ბჟალავა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 11 ივნისის N 04/88 ბრძანებით „კულინარიის ხელოვნების'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- დაწესებულების მიერ „კულინარიის ხელოვნების ''პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;
- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესით, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურით(მათ შორის დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“
- პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესით;
- დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუს შედეგებით;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

პროფესიული პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ შედეგები მიიღწევა დაწესებულების A და B ტიპის სასწავლო გარემოში, დაწესებულებას არ აქვს C სასწავლო გარემო და პროფესიული მოდულების -კულინარიის ხელოვნება სწავლის შედეგები მიიღწევა პარტნიორი დაწესებულების ბაზაზე არსებული მატერიალური რესურსით, სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სასწავლო დატვირთვის 50 % ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

პროგრამის განხორცილების მიზნებისათვის დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება პარტნიორ ორგანიზაციებთან:

- რესტორანი ლორდი მის: გრ.კვინიტაძის #1
- შპს ბულაჩაური 2017 მის: დუშეთის რაიონი სოფელი წითელსოფელი
- რესტორანი „გერმანული პაბი“ მის: ვაჟა-ფშაველას გამზ N59
- შპს ჯი ელ გრუპი (რესტორანი გალავანი) მის: ნატახტარი 1 კმ

შპს ჯი ელ გრუპ (რესტორანი გალავანთან) გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული ხელშეკრულების ნომერი, ვიზიტის დროს შემოწმებულ იქნა ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი და აღნიშნული დაფიქსირდა, როგორც ტექნიკური ხასიათის შეცდომა, რადგან ჟურნალში ხელშეკრულებას მინიჭებული ჰქონდა რეგისტრაციის ნომერი (ხელშეკრულება #022 15.08.2020 ). ხელშეკრულებაში გაწერილია მხარეთა ვალდებულებები,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

პარტნიორი დაწესებულების რესტორან „ლორდის“ წარმომადგენელთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ მათ, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული პროგრამის განხორციელების მოპოვების შემდეგ, შეუძლიათ არაუმეტეს 3 (სამი) პროფესიული სტუდენტის მიღება, რესტორანი „გერმანული პაბის“ წარმომადგენელთან ინტერვიუირებისას, არაუმეტეს 1 (ერთისა), შპს ჯი ელ გრუპის (რესტორანი გალავანი) წარმომადგენელთან ინტერვიუირებისას, - 15 (თხუთმეტი) პროფესიული სტუდენტის და შპს ბულაჩაური 2017-ის წარმომადგენლებთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ არაუმეტეს 10 (ათი) პროფესიული სტუდენტისა.

საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების დადასტურების უზრუნველყოფა ხდება პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი სამუშაო გამოცდილების მქონე ინტრუქტორის დახმარებით; პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ინსტრუქტორი ახორცილებს პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო/საწარმო პროცესში მონაწილეობის ზედამხედველობას, მითითების მიცემას, საწარმოში გამოცხადების აღრიცხვასა და საჭიროების შემთხვევაში სასწავლო დაწესებულების ინფორმირებას სასწავლო პროცესში, სტუდენტთა მხრიდან გამოვლენილი გარემოებების შესახებ.

ხელშეკრულების დამატებით პირობებში აღნიშვნის მიუხედავად (მუხლი 4.) თან არ ერთვოდა მხარეთა მიერ ერთობლივად შემუშავებული და კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამა.

ხელშეკრულებას თან ერთვის ინფორმაცია ინსტრუქტორის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობა შესაბამისი აღჭურვილობის საჭირო რაოდენობისა და საზომი ერთეულის მითითებით და სასწავლო გეგმა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრულია ხელმოწერიდან ავტორიზაციის ვადის ამოწურვამდე. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღწერილობაში ასახული რესურსების რაოდენობა გათვალისწინებულია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მიხედვით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს შედგა ინტერვიუირება ოთხივე პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელთან და მათი მხრიდან გამოიკვეთა მზაობა პროფესიულ სტუდენტთა მისაღებად; დადებითად შეფასდა მატერიალური რესურსების საკმარისობა მოთხოვნილი ზღვრულ რაოდენობასთან შესაბამისობაში.

2. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა , როგორც ზოგად ისე დარგობრივ მოდულებზე, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას ჯერ არ აქვს შემუშავებული მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის ფორმა.

**ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ზემოაღნიშნული იდენტიფიცირებული აქვთ, როგორც მეტწილი შესაბამისობა, გამოკვეთილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, რაც გულისხმობს შესაბამისი მარეგულირებელი წესების/სხვადასხვა დოკუმენტების, მათ შორის მასწავლებლის საათობრივი დატვირთვის ფორმის შემუშავება. განსაზღვრული აქვს მარეგულირებელი წესების შემუშავების დაწყების თარიღი - 01.06.2020, დასრულების თარიღი - 01.11.2020.**

3. მე-3 დონის დუალური პროფესიული პროგრამის „კულინარიის ხელოვნება“ განხორციელებაში ჩართულია 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან ზოგად მოდულებს (2 მოდული) ახორციელებს 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ხოლო პროფესიულ მოდულებს - 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი; ვიზიტის დროს მოხდა მათთან გასაუბრება, შესწავლილ იქნა პირადი საქმეები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და მათთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free
პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა  პირადი საქმეების შესწავლისას გამოიკვეთა მათი სრულყოფის საჭიროება, დაწესებულებას ყავს კვალიფიციური პერსონალი, რაც დასტურდება განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლის, სამუშაო გამოცდილების (სტაჟის) დამადასტურებელი დოკუმენტი (საჭიროების შემთხვევაში)წარმოდგენით,  მაგრამ ვერ მოხერხდა ზოგიერთი  მოდულის განმახორციელებელთა  მხრიდან შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურების კომპეტენციის ფლობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება. **დაწესებულებას აღნიშნული გარემოება,  შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში იდენტიფიცირებული აქვს,  როგორც მეტწილი შესაბამისობა „პერსონალის პირადი საქმეებისა და ხელშეკრულებების მოწესრიგება“, გამოკვეთილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა, რაც გულისხმობს განმახორციელებელთა მხრიდან დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენას, განსაზღვრული აქვს  დაწყების  თარიღი - 25.06.2020,  დასრულების თარიღი -  30.07.2020.**

ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა დაწესებულების მზაობა მოდულის განმახორციელებელი პერსონალისათვის    სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურების კომპეტენციის ფლობის ტრენინგის ჩასატარებლად, რომელსაც განახორცილებს სასწავლო წლის დაწყებამდე.

4. **კულინარიის ხელოვნების** პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის,  მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე ხელმძღვანელი, რომლის კომპეტენციაც დასტურდება პროფესიული დიპლომით  და სამუშაო გამოცდილებით. ინტერვიუირებისას გამოიკვეთა მისი ჩართულობა პროფესიული პროგრამის შემუშავების პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

*ქ. თბილისი 2020 წელი*

PDF Eraser Free

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის წესი, სადაც აღნიშნული აქვს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელძღვანელი არის პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი დარგის სპეციალისტს ან/და კომპეტენციის მქონე პირს. აქვე ასახულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელძღვანელის უფლება-მოვალეობები (დირექტორის ბრძანება # 04-75, 28.05.2020).

5. **კულინარიის ხელოვნების** პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა, დაწესებულების ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია მატერიალური და ელექტრონული სახით CD დისკზე და გატარებულია საინვენტარო წიგნში. სასწავლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულების მასწავლებლებს მუდმივად აქვს წვდომა განახლებულ აქტებზე matsne.gov.ge -ის მეშვეობით.
ვიზიტის დროს ექსპერტების მხრიდან გადამოწმდა მოდულში ასახული სასწავლო რესურსის შესაბამისობა. ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია „ბიბლიოთეკის წესდება“. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველ სამუშაო დღეს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10 საათიდან 17 საათამდე და შაბათს 10 საათიდან 15 საათამდე . მოდულის განმახორციელებელ პერსონალს ელექტრონული ფორმით მიეწოდება ინფორმაცია დაწესებულებაში შეძენილი სასწავლო რესურსის შესახებ. (მასწავლებელთა ელ. ფოსტაზე გადაგზავნილი წერილების მტკიცებულება)

